ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 6

1987

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (502) ივნისი 1987 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

148. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ი. კავსაძის საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრად დანიშვნის შესახებ.

149. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

150. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

151. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება არაყის შინ გამოხდისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

152. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.

### განყოფილება მეორე

153. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

154. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ა. [illegible] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

155. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ო. ვარშანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

156. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ი. ლომიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

157. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ვ. მუშკუდიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

158. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ო. ოსიპოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

159. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. პ. სალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

160. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. გ. ფეოდოროვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

161. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ვ. ყაზახაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

162. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ი. შალიბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

163. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების წარმომადგენელთათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

164. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

165. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

166. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ი. ამირეჯიბისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

167. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. თოფურიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

168. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. გ. კეჩხუაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

169. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ო. კირაკოზოვასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

170. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ნ. მაკარიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისა და რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 148 ამხ. ა. ი. კავსაძის საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ირაკლის ძე **კავსაძე** საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 1 ივნისი.

№ 1285—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 149 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1987 წლის 18 ივლისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 16 ივნისი.**

**№ 1298—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 150 ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ პროსტიტუცია გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის დადებას გაფრთხილების ან ჯარიმის სახით ას მანეთამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, გამოიწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ჯარიმის სახით ორას მანეთამდე.

2. იმ პირებს, რომელთა მიმართ არსებობს საკმაო საფუძველი იმის მისაჩნევად, რომ ისინი ეწევიან პროსტიტუციას, გამოიძახებენ მილიციაში ოფიციალურად გასაფრთხილებლად ანტისაზოგადოებრივი საქციელის დაუშვებლობის თაობაზე. ასეთი პირების მიმართ, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შინაგან საქმეთა ორგანოების (მილიციის) საამისოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა შეიძლება გამოიყენონ ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და ჩამორთმევა.

3. ის პირები, რომლებსაც დაედოთ ადმინისტრაციული სახდელი ამ ბრძანებულების პირველი მუხლის შესაბამისად, ვენერულ სნეულებათა გამოვლენისა და მკურნალობის მიზნით გაიგზავნებიან სამედიცინო შემოწმებისათვის საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ამ ბრძანებულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

5. ამ ბრძანებულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ დარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების (მილიციის) მუშაკები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 17 ივნისი.

№ 1303—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 151 არაყის შინ გამოხდისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„არაყის შინ გამოხდისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 29 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დექსს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420; 1985 წ., № 10, მუხ. 370, 1986 წ., № 6, მუხ. 140):

დაემატოს შემდეგი შინაარსის 167¹ მუხლი:

**„მუხლი 167¹.** გასაღების მიზნის გარეშე შინნახადი არაყის ან სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა ან შენახვა, აგრეთვე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადება ან შენახვა

გასაღების მიზნის გარეშე შინნახადი არაყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არაყის, ბრაგის ან სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა ან შენახვა, გასაღების მიზნის გარეშე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადება ან შენახვა, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან სამას მანეთამდე“;

205-ე მუხლის მეორე ნაწილსა და 206-ე მუხლში სიტყვები „168-ე მუხლით და“ შეიცვალოს სიტყვებით „167¹ და 168-ე მუხლებით“;

209-ე მუხლის პირველ ნაწილს ციფრის 166-ე შემდეგ დაემატოს ციფრი „167¹“, ხოლო პირველი პუნქტის პირველსა და მეორე აბზაცებში სიტყვები „168-ე მუხლით“ შეიცვალოს სიტყვებით „167¹ და 168-ე მუხლებით“;

249-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები: „შინნახად არაყს და სხვა მაგარ სპირტიან სასმელებს, მათ გამოსახდელ აპარატებს საქმის განხილვის შემდეგ გაანადგურებენ“;

269-ე მუხლს ციფრის „166-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრი „167¹“;

2. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1973 წ., № 6, მუხ. 98; 1982 წ., №12, მუხ. 371; 1985 წ., № 10, მუხ. 370):

30-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „სამას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთას მანეთამდე“;

49-ე და 50-ე მუხლების პირველი პუნქტებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „173-ე მუხლის პირველი ნაწილით“;

173-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გასაღების მიზნის გარეშე არაყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არაყის, ბრაგის ან სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა ან შენახვა, გასაღების მიზნის გარეშე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადება ან შენახვა, განმეორებით ჩადენილი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ორასიდან ხუთას მანეთამდე“.

3. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51¹ მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულ პირთა მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1977 წ., № 4, მუხ. 41; 1982 წ., № 12, მუხ. 373; 1986 წ., № 6 მუხ. 140) მე-3 მუხლში სიტყვები „ხოლო ანგარებითი სამართალდარღვევისათვის — ორას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხოლო ანგარებითი სამართალდარღვევისათვის და ლოთობასთან ბრძოლის კანონმდებლობის დარღვევისათვის — სამას მანეთამდე“.

4. „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არაყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 24 მაისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985 წ., № 5, მუხ. 156):

მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. გასაღების მიზნის გარეშე შინნახადი არაყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არაყის, ბრაგის ან სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა ან შენახვა, გასაღების მიზნის გარეშე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადება ან შენახვა გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის დადებას ჯარიმის სახით ასიდან სამას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, განმეორებით ჩადენილი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ორასიდან ხუთას მანეთამდე.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედებანი, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნასამართლევი იყო ამ ბრძანებულების მე-14 და მე-15 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე“;

მე-17 მუხლში სიტყვები „მე-16 მუხლით“ შეიცვალოს სიტყვებით „მე-14 მუხლის პირველი ნაწილით და მე-16 მუხლით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 19 ივნისი.
№ 1304—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 152 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 28 მაისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულებასა და „ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 17 ივნისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420; 1985 წ., № 5, მუხ. 157, № 10, მუხ. 370; 1986 წ., № 6, მუხ. 140) შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 172$^2$ და 173$^3$ მუხლები:

„**მუხლი 172$^2$**. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რაც გამოიხატება უცხოელ მოქალაქეებზე გადაკიდებაში მათგან ნივთების შეძენის მიზნით

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რაც გამოიხატება უცხოელ მოქალაქეებზე გადაკიდებაში მათგან ნივთების შეძენის, გაცვლის ან სხვაგვარი საშუალებით შეძენის მიზნით, —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ას მანეთამდე, შეძენილი ნივთების კონფისკაციით ან უამისოდ.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორას მანეთამდე, შეძენილი ნივთების კონფისკაციით.

**მუხლი 172$^3$**. პროსტიტუცია

პროსტიტუცია —

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას ას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორას მანეთამდე“.

2. 27-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ცალკეულ სახეობათა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების საჭიროებისას საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ჯარიმა მოქალაქეთა მიმართ — ორმოცდაათ მანეთამდე და თანამდებობის პირთა მიმართ — ას მანეთამდე, ხოლო ანგარიშებითი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის — ორას მანეთამდე; სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ჯარიმა — მოქალაქეთა მიმართ ას მანეთამდე და თანამდებობის პირთა მიმართ — ორას მანეთამდე, ხოლო ანგარიშებითი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის და ლოთობასთან ბრძოლის კანონმდებლობის დარღვევისათვის — სამას მანეთამდე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 161-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 161.** უკანონო ოპერაციები უცხოეთის ვალუტით და საგადასახადო დოკუმენტებით

უკანონო შესყიდვა, გაყიდვა, გაცვლა ან გადახდის საშუალებად გამოყენება მცირე ოდენობის უცხოური ვალუტისა, საგადასახადო დოკუმენტებისა უცხოეთის ვალუტაში ან საბანკო საგადასახადო დოკუმენტებისა მანეთებში, რომლებიც შეძენილია უცხოეთის ვალუტით ასეთ ვალუტად მათი გადაქცევის უფლებით, მათ შორის ამ ფასეულობებით სპეკულაცია, თუ უკანონო ოპერაციის საგნის ღირებულება არ აღემატება ოცდახუთ მანეთს, —

გამოიწვევს დაჯარიმებას ას მანეთამდე, ვალუტისა და საგადასახადო დოკუმენტების კონფისკაციით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორას მანეთამდე, ვალუტისა და საგადასახადო დოკუმენტების კონფისკაციით".

4. 205-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „174-ე მუხლით" შეიცვალოს სიტყვებით „$172^3$, 174-ე მუხლებით".

5. 209-ე მუხლის:

პირველ ნაწილს სიტყვების „172-ე მუხლის მეორე ნაწილით" შემდეგ დაემატოს ციფრი „$172^2$";

მეორე ნაწილის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის $172^2$ მუხლით, — სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შინაგან საქმეთა განყოფილებების (სამმართველოების), ტრანსპორტზე შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსებს ან მათ მოადგილეებს, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში არსებულ მილიციის განყოფილებათა უფროსებს".

6. 246-ე მუხლის პირველ პუნქტს სიტყვების „წვრილმანი სპეკულაციის" შემდეგ დაემატოს სიტყვები „პროსტიტუციის".

7. 295-ე მუხლის მესამე აბზაცს ციფრის „167-ე" შემდეგ დაემატოს ციფრი „$172^2$".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 22 ივნისი.

№ 1306—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 153 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** დაჯილდოვდნენ:

ზურაბ მუხამედის ძე **თავართქილაძე** — ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი ინსპექტორი.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **კულმანი** — საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული (სიკვდილშემდგომ).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1313—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 154 ამხ. გ. ა. კუცის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებში უმწიკვლო, ნაყოფიერი სამსახურისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი, გენერალ-მაიორი გიორგი ალექსანდრეს ძე **კუცი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 22 ივნისი.
№ 1305—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 155 ამხ. მ. ო. ვარშანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი მამია ომერის ძე **ვარშანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1319—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 156 ამხ. ა. ი. ლომიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით მწერალი ანდრო იოსების ძე **ლომიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1316—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 157 ამხ. თ. ვ. მუშკუდიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ

სახალხო არტისტი თენგიზ ვარლამის ძე **მუშკუდიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.

№ 1315—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 158 ამხ. ი. ო. ოსიპოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პურის ცხობის მრეწველობის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრის მოადგილე ამხ. იური ოსიპის ძე **ოსიპოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.

№ 1320—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 159 ამხ. თ. პ. სალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკაში გამომგონებლობითი და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის აქტიური პროპაგანდისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების სახელმწიფო კომიტეტის საპატენტო მომსახურების საკავშირო ცენტრის თბილისის ფილიალის უფროსი ამხ. თენგიზ პლატონის ძე **სალია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. **კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.

№ 1321—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 160 ამხ. თ. გ. ფეოდოროვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. თამარ გრიგოლის ასული **ფეოდოროვა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1322—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 161 ამხ. ვ. ვ. ყაზახაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ამხ. ვლადიმერ ვასილის ძე **ყაზახაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1317—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 162 ამხ. მ. ი. შალიბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის მუშაკი ამხ.

მარიამ იოველის ასული შალიბაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1318—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 163 რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების წარმომადგენელთათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი"** მიენიჭოთ:

რევაზ ლევანის ძე **გაბრიაძეს** — თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს.

მაია პეტრეს ასულ **თომაძეს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1328—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 164 „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე"** მიენიჭოთ:

გაიანე ვლადიმერის ასულ **ალიბეგაშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორს.

დავით ბესარიონის ძე **ლაშქარაძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგის სოლომონის ძე ცაიშვილს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1330—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 165 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დამსახურებული მუშაკი“**

შოთა კონსტანტინეს ძე **დავლაშერიძეს** — გაერთიანება „თბილფოტოს“ ფოტოგრაფ-ბრიგადირს.

გივი ევტიხის ძე **ჟვანიას** — გაერთიანება „თბილფოტოს“ ფოტოგრაფ-ბრიგადირს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**

ევგენია არჩილის ასულ **ავდიშევას** — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს განყოფილების უფროსს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**

ციცინო გიორგის ასულ **ჯავახიშვილს** — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოდელების სახლის მთავარ ინჟინერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1329—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 166 ამხ. მ. ი. ამირეჯიბისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში წვლილისა და კინოს დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორს, მწერალ მზეჭაბუკ (ჭაბუა) ირაკლის ძე **ამირეჯიბს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1323—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 167 ამხ. გ. ი. თოფურიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში ხანგრძლივი მუშაობისას ჯანმრთელობის დაცვის დარგში დამსახურებისათვის სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს გურგენ იონას ძე **თოფურიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1327—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 168 ამხ. ა. ზ. კეჩხუაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს არჩილ გრიგოლის ძე **კეჩხუაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1325—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 169 ამხ. რ. ო. კირაკოზოვასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველო „საქლითონმომარაგებაგასაღების" უფროსის მოადგილეს ამხ. რუზანა ოგანეზის ასულ **კირაკოზოვას** მიენიჭოს საპატიო წოდება **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1326—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 170 ამხ. ა. ნ. მაკარიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ყოფილ უფროს აგრონომს ამხ. ალა ნიკოლოზის ასულ **მაკარიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 ივნისი.
№ 1324—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

23 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებების, 1987 წლის 3 ივნისს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის თათბირზე გამოთქმული წინადადებებისა და მითითებების შესაბამისად საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესსა და სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული განვითარების დაჩქარებაზე საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ზეგავლენის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა გეგმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილებებს დაევალათ სისტემატურად გააკონტროლონ ამ გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებათა განხორციელება.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს რეკომენდაცია მიეცათ გაშალონ აქტიური ორგანიზატორული მუშაობა იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც გამიზნულია ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესზე საბჭოების ზეგავლენის შემდგომი გაძლიერების, მთელი საბჭოთა მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

* * *

მოისმინა რა გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. დაშდამიროვის ინფორმაცია სოციალისტური საკუთრების წვრილმან დატაცებებთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დასაცავად გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის თაობაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რაიონში მიმდინარე წვრილმან დატაცებებთან ბრძოლას აკლია კონკრეტულობა, სისტემურობა, კომპლექსურობა და შეტევითობა, რამაც განაპირობა ამ სამართალდარღვევათა საკმაოდ გავრცელებული ხასიათი.

1985-1986 წლებსა და 1987 წლის ოთხ თვეში გამოვლენილ წვრილმან დატაცებათა საერთო რაოდენობის 55,5 პროცენტი მოდის აგრომრეწვის საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, დაახლოებით 20 პროცენტი — მრეწველობაზე, დანარჩენი — სახალხო მეურნეობის სხვა დარგებზე.

წვრილმანი დატაცებები განსაკუთრებით გავრცელებულია სახალხო მეურნეობის ისეთ ობიექტებზე, როგორიცაა გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსათბური", საკონსერვო ქარხანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორცკომბინატი, გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკა, ახალი ულიანოვკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობა და სხვ.; ამ საწარმოთა ადმინისტრაცია, შრომითი კოლექტივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სახალხო დოვლათის დამტაცებელთა მიმართ არ ქმნიან შეუწყნარებლობისა და საყოველთაო საზოგადოებრივი გაკიცხვის ატმოსფეროს, მიმტევებლობას იჩენენ მათდამი, გადამჭრელ ზომებს არ იღებენ დატაცებათა პროფილაქტიკისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

რაიონის მთელ რიგ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და მეურნეობებში არ იცავენ შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნებს. დაკნინებულია შრომითი კოლექტივების როლი სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის, მისი გამრავლების, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენების, მიწერებთან, თვალის ახვევასთან, დატაცებებთან, უყაირათობასთან, მფლანგველობასა და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელებაში.

წვრილმან დატაცებებთან ბრძოლაში, მათს პროფილაქტიკასა და აცდენაში სუსტად გამოიყენება სახალხო კონტროლიორების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოებისა და სხვათა დიდი შესაძლებლობანი. ზოგიერთ საწარმოში საზოგადოებრივი ფორმირებანი საერთოდ უმოქმედოდაა.

შემაშფოთებელია ისიც, რომ წვრილმან დატაცებებს სჩადიან ის პირნიც (ეკონომისტები, კონტროლიორები, ბრიგადირები და სხვ.), რომელთაც ევალებათ დაიცვან სოციალისტური საკუთრება. ამგვარი ფაქტები იყო მუყაორუბეროიდის ქარხანაში, ხორცკომბინატში, ბეწვეულის ფაბრიკასა და სხვაგან.

არის შემთხვევები, როდესაც სახალხო დოვლათის დატაცებაში ერთდროულად ათობით ადამიანი მონაწილეობს.

წვრილმან დატაცებებთან ბრძოლის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად აქვეითებს ისიც, რომ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები ან საერთოდ არ იხილავენ მათთან გაგზავნილ მასალებს წვრილმან დატაცებათა შესახებ, ანდა იხილავენ დიდი დაგვიანებით.

რაიონის ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა აღრიცხვის საქმეში, ზოგიერთ მეურნეობაში სუსტია მუშაობა სამეურნეო ანგარიშისა და ბრიგადული იჯარის დასანერგავად, რაც უარყოფით გავლენას ახდენს წვრილმან დატაცებებთან ბრძოლის შედეგიანობაზე.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს არასაუწყებო დაცვის მუშაობას.

რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები აქტიურ, მტკიცე და მიზანმიმართულ ბრძოლას არ ეწევიან წვრილმან დატაცებებთან.

შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკები ყოველთვის ოპერატიულად არ ეხმაურებიან სიგნალებს წვრილმან დატაცებათა შესახებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად დაწესებული ვადების დარღვევით უგზავნიან მასალებს მათ თა[illegible] სახალხო სასამართლოს ან შრომით კოლექტივებს, ყოველთვის არ ახორციელებენ კონტროლს მასალების დროულად განხილვისა და დამნაშავეთა მიმართ სათანადო ზომების მიღებისადმი.

სახალხო სასამართლო, როგორც წესი, წვრილმან დატაცებათა საქმეებს არ იხილავს უშუალოდ ჩადენის ადგილებზე, რითაც მნიშვნელოვნად აკნინებს სასამართლო პროცესებისა და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების აღმზრდელობითი მნიშვნელობას; მთელ რიგ შემთხვევებში, საკმაო საფუძვლის არსებობისას, არ გამოაქვს წვრილმან დატაცებათა ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრისათვის გამიზნული კერძო განჩინებები, არასაკმარის მეთოდურ და იურიდიულ დახმარებას უწევს ამხანაგურ სასამართლოებს.

წვრილმან დატაცებებთან ბრძოლის გასაძლიერებლად კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების საქმეში აღნიშნული არსებითი ნაკლოვანებები ძირითადად იმითაც არის განპირობებული, რომ გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოები აღნიშნულ პრობლემას არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას, იშვიათად იხილავენ საკითხებს სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე, მუდმივ კომისიებში, დეპუტატთა ჯგუფებში. ნაკლებად ახმარენ ყველა დაინტერესებული ორგანოსა და ორგანიზაციის ერთობლივ მეცადინეობას ამ საქმეს, არ უყენებენ უმკაცრეს მოთხოვნებს საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, სადაც ეს მოვლენები მასობრივი ხასიათისაა, მშრომელთა შორის არ ეწევიან აქტიურ, განმარტებით, აღმზრდელობით და პროფილაქტიკურ მუშაობას სოციალისტური საკუთრების დატაცებათა ასაცილებლად, მათი გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღსაკვეთად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური საკუთრების წვრილმან დატაცებებთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დასაცავად გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მიერ გაწეული მუშაობა ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად. რაიონულ საბჭოს, მის აღმასრულებელ კომიტეტს დაევალათ უმოკლეს ვადაში შეიმუშაონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ამ დადგენილებაში აღნიშნულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმან დატაცებებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 3 დეკემბრის ბრძანებულებისა და „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცებებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების მოთხოვნათა უთუოდ შესასრულებლად.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნიონ სოციალისტური საკუთრების დატაცებებთან ბრძოლის გამკაცრება; მიაღწიონ საქვეუწყებო ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დასახლებულ პუნქტებში კანონმდებლობით მინიჭე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული უფლებების უნარიანად და ეფექტიანად გამოყენებას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ქონების ჯეროვანი დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად; აამაღლონ თითოეული დეპუტატის როლი და აქტიურობა სოციალისტური საკუთრების დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვაში, შეაფასონ მათი მუშაობა ამ მნიშვნელოვან საერთო სახალხო საქმეში შეტანილი კონკრეტული პირადი წვლილის მიხედვით; გააძლიერონ მომთხოვნელობა თითოეული შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელისადმი სახალხო დოვლათის დამტაცებელთა მიმართ შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნისათვის; დროულად გამოავლინონ და გადაჭრით აღმოფხვრან წვრილმან დატაცებათა ხელშემწყობი მიზეზები და პირობები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე კადრების შერჩევასა და განაწილებას; აამაღლონ პროფილაქტიკური მუშაობის დონე; აღზარდონ მშრომელები სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულებისა და საბჭოთა კანონებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, ჩაატარონ ეს მუშაობა ფართო საჯაროობის ვითარებაში.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე საკითხები: წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში სახელმწიფო ჯილდოების დაკარგვის ფაქტის შესახებ, საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის სახელზე შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების, განცხადებებისა და საჩივრების თაობაზე და სხვ. ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია სათანადო დადგენილება.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

1987 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა განიხილეს საკითხები:

**საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ** — სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების გამოსაყენებლად თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის 1985 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე;

„სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების შესაბამისად რაიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისა და მის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესებისათვის ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

**ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების** — „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ოჯახის განმტკიცებისა და ბავშვთა აღზრდისათვის მშობელთა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად ცხაკაიას რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ.

**სახალხო განათლებისა და კულტურის** — სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად სახალხო განათლებისადმი ხელმძღვანელობის, პედაგოგიური კადრების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ახმეტის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის თაობაზე;

„სოფლის სოციალურ-კულტურული განვითარებისათვის მოსკოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესასრულებლად წალკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის თაობაზე კომისიის 1985 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების, მათთვის სათანადო სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო-კომუნალური პირობების შექმნისათვის გულრიფშის, ხულოს, ჯავისა და დუშეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე დეპუტატთა ჯგუფის ინფორმაციის შესახებ.

**ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის** — სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის მოსახლეობის საფოსტო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

**ახალგაზრდობის საქმეთა** — ახალქალაქის რაიონში საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადების შესახებ კანონმდებლობის დაცვის თაობაზე.

**აგროსამრეწველო კომპლექსის** — საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კომბინირებული საკვების წარმოების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესების და გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის და პურპროდუქტების სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

**ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის** — მშრომელთა სამედიცინო დახმარების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ;

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემდგომი განვითარების და სპორტნაგებობათა მაქსიმალური გამოყენებისათვის სახალხო დეპუტატთა საჩხერისა და ორჯონიკიძის რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობის შესახებ;

„მშრომელთა საკურორტო და სამედიცინო მომსახურების კომპლექსის მართვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ" კომისიის 1986 წლის 21 თებერვლის **გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.**

**მრეწველობის** — „პროდუქციის ხარისხის ძირეული ამაღლების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 12 მაისის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის საწარმოებში პროდუქციის სახელმწიფო მიღების მიმდინარეობის თაობაზე.

**ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების** — საქართველოს სს რესპუბლიკაში წყლის რაციონალურად გამოყენების და ბუნებრივი წყალმომარაგების სისტემების დანერგვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე.

**ენერგეტიკის** — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში სათბობისა და თბოენერგიის რაციონალურად გამოყენებისათვის მუშაობის შესახებ" კომისიის 1983 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების და ამავე საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

**მეცნიერებისა და ტექნიკის** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში სამეცნიერო კადრების მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ.

## დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისა და რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 4, 11, 15, 16 და 17 ივნისის ბრძანებულებებით გაგრძელდა სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის არჩევნების 8 საქალაქო, 3 რაიონული და 5 სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისა და რეგისტრაციის ვადა.